



ევროკავშირი საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ხელშეწყობა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება საქართველოში ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის დახმარებით

ევროკავშირი ხელს უწყობს სოფლად სიღარიბის შემცირებას და სოფლის განვითარების თანამედროვე პრაქტიკის დანერგვას საქართველოში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) დახმარებით. 2013-2019 წლებისათვის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ბიუჯეტი საქართველოში 102 მილიონ ევროს შეადგენს. პროგრამის პირველი ფაზის პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა იყო, ხოლო მეორე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზრდას.

ENPARD-ის მცირე ფერმერთა კოოპერაციის კომპონენტს ახორციელებენ კონსორციუმში გაერთიანებული ორგანიზაციები: CARE, OXFAM, Mercy Corps, PIN და UNDP საქართველო. პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით უკვე დაფინანსდა 260-ზე მეტი კოოპერატივი (დაფინანსების გაგრძელება იგეგმება 2017 წელშიც). ევროკავშირი, განმახორციელებელი პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, მხარს უჭერს კოოპერატივებს — გადასცემს მათ აქტივებს (ძირითადად, გრძელვადიან აქტივებს), ახორციელებს მათ ტექნიკურ დახმარებას ტრენინგებითა და ექპერტული რჩევებით, ეხმარება კოოპერატივებს ნედლეულისა და მასალების ყიდვის და საბოლოო პროდუქტის გაყიდვისათვის საჭირო საბაზრო კავშირების დამყარებაში.

ქვემოთ აღწერილი ძირითადი დასკვნები წარმოადგენს ერთი წლის განმავლობაში (2015) საქართველოში ევროკავშირის მხარდაჭერილი კოოპერატივების განვითარების მოკლე შეჯამებას. შედეგები ეყრდნობა ENPARD-ის გრანტის მიმღებ ისეთ 118 კოოპერატივში ჩატარებულ კვლევას, რომლებიც დაფინანსდნენ 2016 წლამდე. ევროკავშირის მიერ აჭარაში მხარდაჭერილი კოოპერატივები კვლევაში შესული არაა, მაგრამ 2017 წლის ივნისში გამოსაქვეყნებელი მომდევნო კვლევა უკვე მოიცავს აღნიშნული კოოპერატივებსაც.

ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება გრძელვადიანი პროცესია, ზუსტი დასკვნების გაკეთება რამდენიმე წლის შემდეგ იქნება შესაძლებელი. ამის მიუხედავად, დღესდღეობით არსებული მონაცემები უკვე იძლევა ევროკავშირის მიერ

ENPARD-ის ფარგლებში დაფინანსებული კოოპერატივების განვითარებისათვის თვალის მიდევნების საშუალებას და დაინტერესებული მხარეებს აწვდის ინფორმაციას საწყისი ტენდენციების შესახებ.

ძირითადი დასკვნები: საქართველოში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთწლიანი განვითარება

წევრები და დასაქმება

- გამოკვლეულ 118 კოოპერატივში ჯამურად იყო 1180 წევრი (საშუალოდ 10 წევრი ერთ კოოპერატივში).
- გამოკითხული კოოპერატივების 41% იყენებდა დაქირავებულ შრომას 2015 წელში [სულ დასაქმებული იყო 410 ადამიანი, რომელთა უდიდეს ნაწილს (84%) სეზონურად დაქირავებული მუშაკები წარმოადგენდნენ].

გენდერული საკითხები

- გამოკვლეული 118 კოოპერატივის (2015 წელს):
 - 8%-ის ხელმძღვანელი იყო ქალი;
 - გამგეობების წევრების 23% იყო ქალი;
 - წევრის 34% იყო ქალი;
 - დაქირავებულ მუშაკთა 49% იყო ქალი.
- ჯამურად, კოოპერატივის წევრთა ან კოოპერატივის მიერ დაქირავებულ ადამიანთა დაახლოებით 40%-ს შეადგენდნენ ქალები.

კოოპერატივების მიერ გამოყენებული ძირითადი აქტივები

- 2015 წელს ერთი კოოპერატივი საშუალოდ იყენებდა 99 ათასი ლარის ღირებულების გრძელვადიან აქტივებს, რაც 2014 წელს არსებულ საშუალო სიდიდესთან (44 ათასი ლარი) შედარებით 125%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.
- გრძელვადიანი აქტივების 39% შეძენილ იქნა ევროკავშირის დაფინანსებით, ხოლო დანარჩენი ნაწილი ისეთი წყაროებით, როგორებიცაა: კოოპერატივის წევრთა შენატანები, კოოპერატივის მიერ იჯარით აღებული აქტივები და სხვა.

ფინანსური მონაცემები

მთლიანი შემოსავალი

2015 წელს, 118 გამოკითხული კოოპერატივიდან 79-მა წარმოადგინა მონაცემები შემოსავლების შესახებ. ამ მონაცემების მიხედვით, 79 კოოპერატივის ჯამურმა შემოსავლებმა დაახლოებით 6 მლნ ლარი შეადგინა, რისი 30% (1,8 მლნ ლარი) წმინდა

მოგება იყო. რაც შეეხება 2014 წლის შესახებ ჩატარებულ გამოკითხვას, 82 გამოკითხულიდან 48 კოოპერატივმა წარმოადგინა მონაცემები შემოსავლების შესახებ.

- საბაზისო (2014) წელთან შედარებით, 2015 წელს ერთი კოოპერატივის მთლიანი შემოსავალი საშუალოდ გაიზარდა 19%-ით (64,433 ლარიდან 76,953 ლარამდე).

წმინდა შემოსავალი (მოგება)

2014 წელს გამოკითხული 82 კოოპერატივიდან 45-მა განაცხადა დადებითი მოგების მიღების შესახებ, ხოლო 2015 წელს გამოკითხული 118 კოოპერატივიდან მოგების მიღება დაადასტურა 74-მა კოოპერატივმა, ხოლო ზარალის მიღება — 8 კოოპერატივმა.

- იმ კოოპერატივის გათვალისწინებით, რომლებმაც ქონდათ მოგება ან ზარალი 2014 ან 2015 წლებში, აღნიშნულ პერიოდში წმინდა მოგება საშუალოდ ერთ კოოპერატივზე გაიზარდა 21%-ით.
 - საბაზისო (2014) წელთან შედარებით, 2015 წელს საშუალო წმინდა მოგება (მარტო დადებითი მოგების მქონე კოოპერატივებში) გაიზარდა 41%-ით (16,613 ლარიდან 23,495 ლარამდე);
 - 8 კოოპერატივმა განაცხადა 2015 წელს საშუალოდ 8,800 ლარის ოდენობით უარყოფითი წმინდა შემოსავლის (წაგების) მიღების შესახებ.

რეინვესტირება

- კოოპერატივების უმრავლესობამ (85%) განაცხადა, რომ კოოპერატივის საქმიანობის განსავითარებლად მოახდინა მიღებული მოგების მნიშვნელოვანი ნაწილის რეინვესტირება.

წარმოების მოცულობები

გამოკვლეული კოოპერატივები ჩართულნი იყვნენ სოფლის მეურნეობის 25-მდე სხვადასხვა ღირებულებათა ჯაჭვში და აწარმოებდნენ პროდუქციის ფართო ასორტიმენტს. 2015 წელს ზოგი პროდუქტის წარმოების მოცულობები მოცემულია ქვემოთ:

- 15-მა კოოპერატივმა აწარმოა 34 ტონა თაფლი (საშუალოდ 2,3 ტ/კოოპერატივი);
- 12-მა კოოპერატივმა აწარმოა 1726 ტონა კარტოფილი (საშუალოდ 144 ტ/კოოპერატივი);
- 8-მა კოოპერატივმა აწარმოა 250 ჰექტოლიტრი ღვინო (საშუალოდ 31 ჰექტოლიტრი/კოოპერატივი);
- 8-მა კოოპერატივმა აწარმოა 90 ტონა ბოსტნეული (საშუალოდ 11,2 ტ/კოოპერატივი);
- 6-მა კოოპერატივმა აწარმოა 143 ტონა კენკრა (საშუალოდ 23,8 ტ/კოოპერატივი).